პროფესორ ალექსანდრე ასლანიკაშვილის შრომები გეოგრაფიული მეცნიერების თეორიაში და ამ შრომების სამომავლო პერსპექტივა

რობერტ მაღლაკელიძე

ელ.ფოსტა: robert.maghlakelidze@tsu.ge;

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

საყოველთაოდ ცნობილია პროფესორ ალექსანდრე ასლანიკაშვილის ღვაწლი კარტოგრაფიული მეცნიერების თეორიის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. მან შექმნა ორგინალური კარტოგრაფიული თეორია, რომლითაც კარტოგრაფიული მეცნიერება ტექნიკური სამომხმარებლო დისციპლინიდან აამაღლა დამოუკიდებელ მეცნიერების რანგში. ჩამოაყალიბა კარტოგრაფიული მეცნიერების რიალური შემეცნების საგანი, თეორიულად დაასაბუთა რუკის ენის, როგორც სპეციფიკური ნიშნობრივი – სემიოტიკური სისტემის არსებობა და მისი შემეცნებითი როლი, კარტოგრაფიაში შემოიტანა შინაარსის მასშტაბის ცნება, მოგვცა კარტოგრაფიის შინაგანი სტრუქტურის ორგინალური სქემა, ე.ი. მოგვცა მოძღვრება კარტოგრაფიის საგანზე, მეთოდსა და ენაზე, რაც ერთ ლოგიკურ სისტემად აერთიანებს კარტოგრაფიული მეცნიერების ყველა დარგს.

თუმცა, პროფესორი ალექსანდრე ასლანიკაშვილი ასევე წარმატებით მუშაობდა გეოგრაფიული მეცნიერების თეორიაში. მის კალამს ეკუთვნის საკმაოდ ვრცელი და ამავე დროს აღიარებული, რამდენიმე თეორიული სტატია გეოგრაფიული მეცნიერების სესახებ. მათში ბატონ ალექსანდრეს ჩამოაყალიბებული და დასაბუთებული აქვს გეოგრაფიის შემეცნების საგანი, გეოგრაფიული და კარტოგრაფიული მეცნიერების ერთიანობა და სისტემური არსი. ასევე სტატიებში მოცემულია გეოგრაფიული მეცნიერების თეორიის ბევრი სხვა მნიშვნელოვანი დებულებები. ბატონიმა ალექსანდრემ ვერ მოასწრო გეოგრაფიული მეცნიერების თეორიის ერთ მთლიან მონოგრაფიად გამოცემა. თუმცა, ამბობდა, რომ თითქმის დამთავრებული აქვს გეოგრაფიული მეცნიერების შესახებ თეორიული შრომა. კომისიას მისი ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ მაგიდაზე დახვდათ მხოლოდ საქაღალდე, სავსე თეორიული გეოგრაფიული ლიტერატურიდან ამონაწერებითა და გეოგრაფიის თეორიის შესახებ მოკლე ტექსტობრივი შენიშვნებით.

მოხსენებაში განხილული ხსენებული სტატიების და სხვა მეცნიერული მემკვიდრეობის საფუძველზე პროფესორ ალექსანდრე ასლანიკაშვილის მოღვაწეობა და ღვაწლი გეოგრაფიული მეცნიერების თეორიაში და ამ ნაშრომების სამომავლო პერსპექტივა.